პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

27 დეკემბერი
ოთხშაბათი,
№ 213 (1849)
1961 წ.
გამოცემის მე-18 წელი,
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტულ ბაზებზე — სანიმუშო წესრიგი

ამ დღეებში დამთავრდა საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პლენუმი. მოხსენებით გამოსულმა ნ. ნ. რომანოვმა დასახა მომავლის გეგმები, მოიყვანა მეტად საგულისხმო ფაქტები, თუ როგორ თანმიმდევრულად ვითარდება ფიზკულტურა და სპორტი ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში, როგორ იქნა მიღწეული ყოველივე ეს? პირველ რიგში პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით და რასაკვირველია, ხალხის — მასების მხარდაჭერით. ჩვენ ამ წერილში გვინდა ვილაპარაკოთ არა იდეურ ან მატერიალურ მხარდაჭერაზე, რომელმაც ჩვენი სპორტი უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა, არამედ მხარდაჭერაზე, გულშემატკივრობაზე, რომელმაც ამ ბოლო ხანებში მეტად ცუდი ხასიათი მიიღო.

ცნობილი სტაიერი ე. ზატოპეკი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში წერდა: „რბენის დროს ფრთებს მასხამდა მრავალრიცხოვან გულშემატკივართა გამამხნევებელი შეძახილები. ყოველ ფეხის გადადგმაზე ვგრძნობდი, რომ მათ გულით სურდათ ჩემი გამარჯვება, რომ ეს მათ დიდ სიამოვნებას მოგვრიდა. მეც მივრბოდი — ვებრძოდი ჰაერს, დროს... წინ! — მოვუწოდებდი ჩემს თავს, — გესმის ყიჟინა!“ მართლაც, რა მალამოსავით ედება სპორტსმენის გულს მაყურებლის მხარდაჭერა. ხშირად იგი მატჩებს, შეჯიბრებებს იგებს. მაგრამ მხარდაჭერა, რომელიც უაზრო ყვირილში, ღრიალში და შემდეგ ხულიგნობაში გადაიზრდება, პირიქით, მოქმედობს — აბნევს სპორტსმენს, არევ-დარევა შეაქვს შეჯიბრების ორგანიზაციაში და, რაც მთავარია, უდიდეს ზიანს აყენებს შეჯიბრების სანახაობით მხარეს.

გავიხსენოთ სულ ახლახანს დამთავრებული საკავშირო გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრების მსვლელობის დროს, რაც სპორტის სასახლის ტრიბუნებზე მოხდა, ჩრდილს აყენებს თბილისის სპორტისმოყვარულ საზოგადოებრიობას. შეიძლება ვინმეს ჰგონია, რომ შეჯიბრებაში მონაწილე საქართველოს გუნდს პატრონი არ ჰყავს და ტრიბუნებიდან უნდა დავიცვათ მისი ინტერესები. გუნდს ჰყავს ხელმძღვანელობა (უფროსი მწვრთნელი, მწვრთნელები და გუნდის წარმომადგენელი), რომელიც ნაკლებად არ არის დაინტერესებული გამარჯვებაში. სწორედ გუნდის ხელმძღვანელობის პროტესტმა და არა ზოგიერთი თავაშვებული მაყურებლის საქციელმა დაადგინა სიმართლე ბელორუსია-საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრისას.

შეიძლება მსაჯი შეცდეს. შეიძლება მან ეს თავის უცოდინარობით მოუვიდეს ან განზრახაც. ჩვენ მაინც არა გვაქვს უფლება აურზაური ავტეხოთ — სხვადასხვა ნივთები სარბიელზე ვისროლოთ, ვისტვინოთ და ამ გზით „სიმართლის“ დადგენა მოვითხოვოთ.

ტანვარჯიშში საბჭოთა კავშირის 1961 წლის აბსოლუტური პირველობის ორგანიზატორებს მეტად ორიგინალურად ჰქონდათ ჩაფიქრებული შეჯიბრების გახსნა — დარბაზში სინათლე ქრებოდა. პროჟექტორის სხივი გაჰკვეთდა წყვდიადს, ფანფარისტები მაყურებელს აცნობდნენ შეჯიბრების გახსნას და იწყებოდა უძლიერესთა აღლუმი. რა მოხდა? როგორც კი სინათლე ჩაქრა, დარბაზში გამაყრუებელი ყვირილი და სტვენა ატყდა, არ გასჭრა ახსნა-განმარტებამ, ორიგინალურად მოფიქრებული გეგმა ჩაიშალა.

რა შეიძლება მოჰყვეს ამას თუ ასე გაგრძელდება? საყოველთაოდ ცნობილი ამბავი — სადაც ვერ უზრუნველყოფენ შეჯიბრების მსვლელობის დროს სათანადო დისციპლინას, იქ შეჯიბრებას არც ჩაატარებენ. ვიმეორებთ, შეიძლება ეს ასეც მოხდეს. მერედა როგორი საინტერესო ღონისძიებებითაა დატვირთული 1962 წლის სპორტული სეზონი?

ვინ გვარცხვენს თავისი უტაქტო საქციელით, ნუთუ მთელი დარბაზი — 10000 მაყურებელი?—არა. თითო-ოროლა „ზეტემპერამენტიანი“ ადამიანი თავისი უადგილო ყვირილით, წამოძახილით, სტვენით თვითონაც არ უყურებს შეჯიბრებას და არც სხვას აძლევს ამის საშუალებას. კლასიკურ ჭიდაობაში გუნდური საკავშირო პირველობის დღეებში რამდენიმე მათგანმა ღამე მილიციის განყოფილებაში გაათია და შემდეგ სასამართლოს წინაშე აკანკალებული ხმით მოინანია ცოდვები. მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე მათგანმა. ბევრი კი დაუსჯელად დადის და თუ ტრიბუნებიდან უწმაწურ სიტყვებს წამოისვრის თავის უმსგავსო საქციელშიც სხვასაც ჩაითრევს, თავი ვაჟკაცი, ქართული სპორტის უანგარო ქომაგი ჰგონია.

ჩვენი უპირველესი მოვალეობაა საზოგადოების ეს ხორცმეტები გამოვავლინოთ და განვიკვეთოთ. მაგრამ ამ საქმეს მარტო ჩვენ — ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები ვერ გავწვდებით. საჭიროა კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური დახმარება. ჩვენ ვიცით, რომ კომკავშირული ორგანიზაციები დაინტერესებულნი არიან თავისი ყოველი წევრის ქცევით სახლში, ქუჩაში, სასწავლებლებში. ისინი არ უშვებენ არცერთ შემთხვევას, რომ ამხანაგურად არ მიუთითონ, გაკიცხონ უდისციპლინო ამხანაგი. კარგი იქნება თუ კომკავშირული ორგანიზაციები შეისწავლიდნენ საკითხს — როგორ იქცევიან ახალგაზრდები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, კერძოდ სპორტულ სანახაობებზე. ასევე უნდა მოიქცნენ პროფკავშირული ორგანიზაციებიც. საერთო წესრიგის დაცვაში, რაზმელებმა დიდი წვლილი შეიტანეს, ყველგან ვხედავთ მათ, კინო-თეატრებთან, ქუჩაში, მაგრამ რატომღაც წითელმკლავსახვევიანი ახალგაზრდები სპორტულ ბაზებზე არ ჩანან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიდ სპორტულ ღონისძიებებზე რაზმელების მორიგეობა ბევრ უდისციპლინოს ალაგმავდა და შეჯიბრებებზე საერთო წესრიგის დაცვაში დიდ წვლილს შეიტანდა.

უნდა გვახსოვდეს, რომ შეჯიბრება აქტიური დასვენების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მაშასადამე, მშრომელი შეჯიბრებებიდან გაბრუებული და ნერვებაშლილი კი არ უნდა ბრუნდებოდეს სახლში, არამედ სპორტული ბრძოლის შთაბეჭდილებებით დატვირთული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1962 წელი დიდი სპორტული წელია. 1962 წელი საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის წინა წელია, მაშასადამე, ჩვენთვის ყველა შეჯიბრებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველა დიდი შეჯიბრება, ძალთა შემოწმება, გენერალური რეპეტიციაა. ასეთ სიტუაციაში ნორმალურ ვითარებაში ჩატარებულ შეჯიბრებას დიდი მნიშვნელობა აქვს.





სპორტის სასახლეში მიმდინარეობს ფრენბურთში 1962 წლის პირველობის წინასწარი თამაშები.

სურათებზე: (მარცხნივ) — თბილისის სკიფის ფრენბურთელები მოლდავეთის გუნდთან თამაშის დროს. (მარჯვნივ) — თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდის წევრი ვ. გავრილენკო მზადაა ჩარტყმის შესრულებისათვის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## საპატიო ადგილზე

ლვოვის საფარიკაო ბილიკებზე ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობით დაიწყო საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების დასკვნითი — მესამე ეტაპი.

უმაღლესი პრიზისათვის ბრძოლა თავდაპირველად ქალთა შეჯიბრებით დაიწყო. პირველი ადგილის ბედი მაყურებლისათვის თავიდანვე გარკვეული იყო და პროგნოზიც გამართლდა. საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონმა ა. ზაბელინამ (მოსკოვი).

მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდა ბელორუსელი სპორტის ოსტატი დ. ესუკევიჩი. ქართველმა სპორტსმენმა ქალმა ლ. შეყრილაძემ მესამე ადგილი დაიკავა. ეს მისი საუკეთესო შედეგია საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებაზე.

რაპირით მოფარიკავე ვაჟებიდან საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი გახდა მოსკოველი მ. მიდლერი. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ე. რიუმინი (ლვოვი) და დ. მაქსიმოვი.

## „ბურევესტნიკი“ უმატებს ტემპს

**მოსკოვი.** (ჩვენი სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში მოსკოველთა დიდი ინტერესით სარგებლობს.

III ტურის შეხვედრებიც დაძაბული შერკინებით გამოირჩეოდნენ. ბურევესტნიკელები შეხვდნენ წინა პირველობაში გამარჯვებულებს — „სპარტაკის“ მოჭადრაკეებს. როგორც ყოველთვის, „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ ანგარიში გახსნა გაფრინდაშვილმა, მან აქტიურად გათამაშებული დებიუტის შემდეგ კონტოროვიჩს ხარისხი მოუგო და გაიმარჯვა. გუნდების ლიდერების — სმისლოვისა და პეტროსიანის პარტია არ დამთავრებულა. იგი შეწყვეტილია პეტროსიანისათვის მძიმე მდგომარეობაში. ბოლესლავსკიმ მოუგო ფურმანს, ბაგიროვმა — ლუტიკოვს. ბიკოვას შეხვედრა ტოგონიძესთან გადადებულია თანაბარ პოზიციაში. 4,5:1,5 — ასეთი ანგარიშით იგებენ ბურევესტნიკელები.

„ავანგარდი“ უკრაინის სპორტული საზოგადოებაა. ამიტომ გუნდი დაკომპლექტებულია ახალგაზრდა უკრაინელი ოსტატებით, რომლებიც შეუპოვრად ატარებენ მატჩებს. „დაუგავას“ კოლექტივი მხოლოდ ლატვიის მოჭადრაკეებისაგან შესდგება. მასში ახალგაზრდა მზარდმა ოსტატებმა მოიყარეს თავი. ბუნებრივია, რომ ამ გუნდების შეხვედრა უკიდურესობამდე დაძაბულად მიმდინარეობდა.

უკრაინელების ლიდერმა შტეინმა თამამად შესწირა მხედარი ტალს. მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა მიიღო „ძღვენი“. ერთ მომენტში შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს შტეინის კომბინაცია მცდარი იყო. მაგრამ, როცა შტეინმა გააქარწყლა უშუალო მუქარები, მისი გამარჯვება აშკარა გახდა. 32-ე სვლაზე ტალი დანებდა. პარტია წააგო კობლენცმაც. ჰაბუკა შილდტმაც. ორთაბრძოლა შეწყვეტილია — 4,5:1,5 (ოთხი პარტია გადადებულია) ავანგარდელთა სასარგებლოდ.

„ტრუდისა“ და ცდსა-ს მოჭადრაკეთა მატჩში ყურადღების ცენტრში იყო კორჩნოისა და გელერის შეხვედრა. პარტია კორჩნოის უპირატესობით მიმდინარეობდა და ასევე გადაიდო. მხოლოდ ბოლო დაფებზე გამარჯვებით „ტრუდმა“ წაიყვანა ანგარიში (4:3) თავის სასარგებლოდ.

III ტურის შემდეგ „ბურევესტნიკს“ ჰქონდა 17 ქულა (ოთხი გადადებული პარტია), „ავანგარდს“ — 14,5 ქულა (ხუთი გადადებული პარტია), ცდსა-ს — 13,5 ქულა (ოთხი გადადებული პარტია).

# კუბა, ბოლივია, ეკვადორი

ჰავანა–მეხიკო–ლიმა–ლა პასის მარშრუტის დასასრულს ექვსი ათას მეტრზე უჟანგბადო ფრენამ თავისი დაღი დაასვა დელეგაციის წევრებს და ბოლივიის მიწაზე თვითმფრინავიდან გადმოსვლისას თვითეულმა მათგანმა უჩვეულო ტორტმანი დაიწყო. აეროდრომი ზღვის დონიდან 4200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა. დახუთულმა, ნესტიანმა ჰაერმა ცუდად იმოქმედა იაკუშინზე, შავგულიძეზე, კოტრიკაძეზე და სხვებზე.

მოტიტვლებულ უფერულ მთათა ღრმა ტაფობში მოქცეული ქალაქი. ასეთი სურათი უზომოდ დაღლილ მგზავრებს კიდევ უფრო გვიუარესებდა უსიამოვნო შეგრძნებას. არც მეორეხარისხოვანი სასტუმრო „სუკრეს" „დაამშვიდა" ჩვენები და მცირე დასვენების შემდეგ პირდაპირ სტადიონზე წავიდნენ სავარჯიშოდ.

ჟანგბადის ნაკლებობით გამოწვეულმა სიძნელეებმა ძირითადად ჩვენი ექიმის ზ. თელიას კისერზე გადაიარა, რომელსაც საჭირო კონსულტაცია გაუწიეს ბოლივიელმა კომუნისტებმა. მათ იცოდნენ ადგილობრივი კლიმატის უარყოფითი გავლენის შედეგები ჩამოსულთა მიმართ და რჩევა მისცეს მას სპეციალური აბებით აღედგინა ჩვენი ჯანმრთელობა. ამ მართლაც პატიოსან ადამიანებს სურდათ მოედანზე სტუმრებიცა და მასპინძლებიც ერთნაირ პირობებში ყოფილიყვნენ. მადლობის მეტი რა გვეთქმოდა. ჩვენი ზაქროც გვამარაგებდა ახალი პრეპარატით და იშვიათ შემთხვევაში „დავარდნილი" ამხანაგები ჟანგბადიანი ბალიშების დახმარებით მოჰყავდა საბრძოლო ფორმაში. ზუსტად განისაზღვრა საჭმლის მიღებაც, რადგან უიმისოდაც ჭირდა სუნთქვა. შეუძლებელი იყო ნორმალური ძილიც, რადგან დღეში სხვადასხვა ორგანიზაციის ათნაირი დელეგაცია მაინც გვადგებოდა თავზე.

24 ნოემბერს, დილით ადრე გვესტუმრა ჩეხოსლოვაკიის საკონსულოს წარმომადგენელი, რომელმაც შრომის სამინისტროსა და უდედმამო ბავშვთა დაცვისა და აღზრდის საზოგადოების სახელით მთხოვა ჩაგვეტარებინა ერთი დამატებითი მატჩი. შემოსავალი ბავშვთა ქალაქის მშენებლობას უნდა მოხმარებოდა. აღძრული საკითხის გადასაჭრელად ვთხოვე დაეცადა პირველ მატჩამდე, რათა ჩვენ შევთანხმებულიყავით თამაშის ადგილსა და დროზე.

ნაშუადღევს გვინახულეს ლა-პასის „დინამოს" ფეხბურთელებმა. ეს გუნდი 1956 წელს ჩამოუყალიბებიათ სამხრეთ ამერიკელებისათვის საკმაოდ ცნობილი საბჭოთა საუწყებო გუნდის პატივსაცემად. ამავე საღამოს მიგვიწვიეს რკინიგზელთა კლუბში, სადაც ჩვენ რადიოთი მოგვიხდა გამოსვლა. მეც ვუთხარი დამსწრეებს, რომ წლების მანძილზე მათ სისტემაში ვმუშაობდი და საკმაოდ კარგად ვიცნობდი მათ საქმიანობას.

სიტყვით გამოსულმა რკინიგზელმა მუშამ და ერთმა ინჟინერმა დამსწრეთა სახელით განაცხადეს, რომ პოლიციის მუქარის მიუხედავად ბოლივიელი მშრომელები მიაღწევენ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას, რაც პირველ რიგში მათივე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ეს გასაგებიცაა — ბოლივია, რომლის ეკონომიური საფუძველი სოფლის ნახევრად ნატურალური მეურნეობა და უცხოელთა კაპიტალზე დამოკიდებული სამთომადნო მრეწველობაა, ლათინური ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე სუსტად განვითარებულ ქვეყანას წარმოადგენს. აქ ავტომობილსა და მატარებელს ჯერ კიდევ წარმატებით უწევს მეტოქეობას ჯორებისა და ლამების საქარავნო ტრანსპორტი.

ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ბოლივიაში ყველაზე მეტი სიკვდილიანობაა, რადგან ევროპელები აქაურ კლიმატს ვერ ეგუებიან და ადგილობრივი მოსახლეობისათვის საავადმყოფოების აგებაზე მთავრობა ნაკლებად ზრუნავს.

იმ დროს, როცა ჩვენთან შეხვედრებში უბრალო ადამიანები ხალხის ინტერესებს გამოხატავდნენ, რეაქციული პრესა მთელი ძალით ცდილობდა ჩვენი სპორტული ღირსების ტალახში გასვრას. ისინი წერდნენ, რომ ბოლივიის ფეხბურთის ფედერაციამ შეცდომაში შეიყვანა სპორტული საზოგადოება. მოსკოვის „დინამოს" ნაცვლად ჩამოსულია თბილისელთა უცნობი კოლექტივი, რომელიც ალბათ, ბოლივიის „ბ" კლასის სუსტ გუნდებზე უარესიაო და სხვ. ყოველივე ამან აღაშფოთა ჩვენი დინამოელები და გადაწყვიტეს ქართული ცეცხლი დაენთოთ ბოლივიურ სტადიონზე.

...ჭუჭყიანი, კონტრასტებით სავსე ანტისანიტარული ქალაქის დათვალიერებით თავი არ შეგვიწუხებია და, უნდა ითქვას, არც რამე იყო სანახავი. მეტისების, კეჩუასა და აიმარას ტომის ინდიელებისაგან შემდგარი მოსახლეობა 400 ათას კაცსაც არ დაითვლის. ლა-პასში რამდენიმე ხეირიანი შენობაა, დანარჩენები ერთსართულიან ნაგებობებს წარმოადგენენ, რომლებშიც შეძლებული ბოლივიელები ცხოვრობენ. ღარიბი ინდიელები მიწურებსა და ქოხმახებში ბინადრობენ ქალაქის გარეუბნებში. ერთადერთი, რაც თვალში მოგვხვდა, ეს იყო ქალების მიერ მამაკაცთა შლიაპების ხმარება. ლა-პასში მრავალი გადამდები ავადმყოფობა მძვინვარებს, მოსახლეობის 82 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია და საშუალო და უმაღლესი განათლება მხოლოდ შეძლებულ მოქალაქეთა პრივილეგიას წარმოადგენს, ამგვარი ხალხის ზოგიერთი არამკითხე წარმომადგენლის ნათქვამი — ეს კუბა არ არის, ბოლივიააო, ჩვენში მხოლოდ სარკაზმულ ღიმილს იწვევდა.

ჩვენს მატჩამდე დავესწარით პირველი ჯგუფის ორი გუნდის თამაშს, რამაც წარმოდგენა მოგვცა მომავალ მოწინააღმდეგეთა თამაშის სტილზე. ისინი მშვენივრად ფლობდნენ ბურთის ტარების ტექნიკას და კარგად იყვნენ შეგუებულნი უზომოდ უსწორმასწორო მოედანზე მანევრირებას. ტყუილად არ გაგვიცხადეს მათ ამაყად, რომ ამ მინდორზე მარცხი განუცდიათ ურუგვაის, არგენტინის, გფრ-სა და სხვათა ძლიერ გუნდებს. ჩვენს წინ გამოუცდელი კუბელები არ იდგნენ და გუნდი ძალთა მაქსიმალურ მობილიზებას საჭიროებდა. ამას გარდა დინამოელთა წინააღმდეგ გამოსულ „სტრონჟესტს" აძლიერებდა ნაკრების ოთხი საუკეთესო მოთამაშე.

მატჩი მაღალი ტემპით დაიწყო და პირველი ათი წუთის განმავლობაში ჩვენმა ფორვარდებმა მეტოქის კარის აღების სამი რეალური შესაძლებლობა დაკარგეს. მხოლოდ თამაშის მეათე წუთზე დაგვირგვინდა გოლით ბარქაია-იამანიძე-კალოევის კომბინაცია.

თამაში უფრო გამწვავდა და მასპინძელთა მხრივ უხეშობაშიც გადაიზარდა. მეორე ტაიმში მელაშვილი, ბარქაია და დათუნაშვილი სმირნოვით, ზეინკლიშვილითა და ნიკოლაევით შევცვალეთ, რადგან ჟანგბადის ნაკლებობამ უაღრესად მოქანცა ჩვენი ფეხბურთელები. მატჩის 62-ე წუთზე შ. იამანიძემ ოსტატურად აუარა გვერდი მცველებს და „სტრონჟესტის" კარში მეორე ბურთი გაახვია.

მასპინძლებმა მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს. ფეხბურთის მოედნიდან მშვიდად გამოვედით, რადგან იგი მაღალი მავთულ-ხლართიანი ღობით იყო შემოფარგლული. გარდა ამისა, გაზეთებით მოწამლული მაყურებელი ჩვენმა თამაშმა მონადირა და გასავალში ტაშითაც კი გაგვაცილეს.

უნდა ითქვას, რომ ფეხბურთის პოპულარობის მიუხედავად სტადიონი მაყურებლებით არ ავსებულა. ბილეთის ფასი ერთ დოლარამდე იყო აწეული მაშინ, როცა, კილოგრამი ხორცი 600 ბოლივიანო ღირდა (0,6 დოლარი) და მცირე ხელფასიანი მშრომელებისათვის საკმაოდ დიდ თანხას წარმოადგენდა. როგორც გავიგეთ, კათოლიკური ეკლესიაც მოუწოდებდა ხალხს არ წასულიყვნენ ურწმუნოებთან თამაშზე დასასწრებად. ღვთის მსახურებთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო პატარა ეპიზოდი: თამაშის წინ დინამოელებთან მივიდა ადგილობრივი პასტორი და ქადაგება დაუწყო მათ იმქვეყნიურ ცხოვრებასა და მარადიულ სასუფეველზე.

— მამაო! — შეაჩერა იგი ჯ. ზეინკლიშვილმა, — თქვენი მოძღვრება დღეს დამაჯერებლობას მოკლებულია, ვეტყობათ სპორტულ ფორმაში ვერა ხართ. წადით, მოემზადეთ და თუ შემდეგში მაინც დაგვარწმუნებთ რელიგიური რწმენის აუცილებლობაში, ფეხბურთელთა მაისურს სიამოვნებით გადავცვლით პასტორის მოსასხამზე.

საღამოს გაზეთები აღნიშნავდნენ — დინამოელები უკეთ თამაშობენ, ვიდრე არგენტინელები ან ურუგვაელები, თუმცა ჩამორჩებიან ბრაზილიელებსო.

პირველი მატჩისათვის ეს არც თუ ისე ცუდი დახასიათება იყო. თბილისის დინამოელთა შეხედულება მათ მოწინააღმდეგეებზე გაცილებით არასახარბიელო იყო. ბურთის დამუშავების წმინდა სამხრეთ ამერიკულ სტილს საკმაოდ აუფერულებდა მოთამაშეების სუსტი ფიზიკური მომზადება. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ გუნდის ექიმს პირველ ტაიმშივე უხდებოდა მოთამაშეთა გამოცოცხლება წყლის შესხმით, რომ არაფერი ვთქვათ ლიმონის წვენზე. მათთვის დამახასიათებელია აშკარა სიმულიაცია უმნიშვნელო დავარდნების დროს და ის არაკოლეგიალური დამოკიდებულება მოწინააღმდეგეებისადმი, რაც შავი ხაზივით გასდევდა მთელ მატჩს.

27 ნოემბერს ბოლივიის მეორე ქალაქ კოშაბამბაში ჩავედით, სადაც სპორტულ დელეგაციასთან ერთად რუსული ენის შემსწავლელი ქალთა ჯგუფიც დაგვიხვდა. კოშაბამბა ლა-პასზე პატარა, მაგრამ მასზე უფრო სუფთა და გამწვანებული ქალაქია. შეიძლება ეს იმით აიხსნება, რომ აქ სხვა ტომის ინდიელები ცხოვრობენ. ბოლივიის ქალაქებს ჩვენს თვალში მაინც ერთი დამახასიათებელი ნიშანი აერთიანებს — ყველგან დელეგაციათა რკალში ვართ მოქცეული.

გლეხთა დელეგატები გვთხოვდნენ დავხმარებოდით მათ ტრაქტორებითა და სამეურნეო იარაღებით. 1953 წლის რევოლუციამ მათ მისცა მიწა ოჯახის სულადობის მიხედვით, მაგრამ საწარმოო იარაღებს დღესაც მოწყვეტილი არიან, მაშინ, როცა ნიადაგი მწირია და ზოგჯერ მოსავალიც არ მოდის. ღარიბი გლეხის ერთმა ოჯახმა სუვენირიც კი გადმოგვცა ნ. ს. ხრუშჩოვის მეუღლისათვის გადასაცემად. უნივერსიტეტის ლექტორი დაინტერესა ფიზიკური აღზრდის საკითხმა და ძალიან გაკვირვებული დარჩა როცა გაიგო, რომ ჩვენთან ფიზიკური ვარჯიშები და სპორტთამაშები ყოველგვარი გადასახადის გარეშეა მისაწვდომი ნებისმიერი ასაკის წარმომადგენლისათვის.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „ლელო" № 212.


გ. სიხარულიძე,

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.








სურათზე: კუბის ეროვნული გმირი ფიდელ კასტრო ესაუბრება საქართველოს სპორტული დელეგაციის წევრებს. მარჯვნივ ქვევით — გ. ხოჭოლავა ვარჯიშის დროს.

(სურათი ამოღებულია კუბის გაზეთ „რევოლუსიონიდან").

# მოიგონეს დაღუპული გმირები

ადამიანისათვის ყველაზე დიდი ღირსებაა სიცოცხლე ისე განვლო, თქვან: იყოო კაცური კაცი. ეს სიტყვები თავისუფლად შეიძლება ვიხმაროთ ჩვენს დაღუპულ ალპინისტ გმირებზე—ჯუმბერ მეძმარიაშვილზე, ილიკო გაბლიანსა და თეიმურაზ კუხიანიძეზე. 25 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ტრიბუნაზე არიან ჩვენი გამოჩენილი ალპინისტები, მეცნიერები, მასწავლებლები და სტუდენტები. საღამო გახსნა უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ნ. ქავთარაძემ. მან თხოვა დამსწრე საზოგადოებას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ დაღუპული გმირების ხსოვნისათვის. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, ალპინისტები ო. გიგინეიშვილი, ქ. ჯავრიშვილი, ჯ. თითმერია. ნაწყვეტი ლირიკული პოემიდან, რომელიც თავის სიყრმის მეგობარს ილია გაბლიანს მიუძღვნა, წაიკითხა პოეტმა რევაზ მარგიანმა.

დასასრულს ნაჩვენები იქნა დოკუმენტალური ფილმები.

**ჯ. მეძღლიშვილი**

# ოთხი ქალაქის მატჩი





**სურათებზე:** (ზემოთ) სკუტერისტთა შეჯიბრების მონაწილე ბ. მამფორია დისტანციაზე. (ქვემოთ) თბილისის გუნდის მოტონავი, რომელსაც ემსახურებოდნენ ე. და ვ. ოგანეზოვები, ამთავრებს დისტანციას.

ფოტო ვ. სემიონოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოხუმში გაიმართა ნოვოროსიისკის, თბილისის, ბათუმისა და სოხუმის სპორტსმენთა ამხანაგური შეჯიბრება საწყლოსნო-სამოტორო სპორტში.

პირველ დღეს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სკუტერისტები 10-კილომეტრიან დისტანციაზე. გამარჯვება მოიპოვა ნოვოროსიისკელმა ვ. ბახმატმა. მან დისტანცია დაფარა 44 კმ და 709 მ სისწრაფით საათში. მეორე ადგილზე გამოვიდა ბათუმელი ა. ვერესოვი, ხოლო მესამეზე—თბილისელი ვ. შახნაზაროვი. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა მოტონავებით შეჯიბრება. აქ პირველობას ერთმანეთს ძირითადში ეცილებოდნენ სოხუმისა და ბათუმის სპორტსმენები. პირველი ადგილი დაიკავა სოხუმის საზღვაოსნო კლუბის ნავმა (მესაჭე ვ. პეტროზაშვილი, მექანიკოსი ნ. უშაკოვი).

სამატჩო შეხვედრის მეორე დღეს გაიმართა კომპლექსური შეჯიბრება ყველა ტიპის ნავებს შორის. აქ პირველობა წილად ხვდათ ბათუმის წარმომადგენლებს.

**ვ. სემიონოვი**

# 1962 წლის პირველობისათვის

ფრენბურთში სსრ კავშირის 1962 წლის პირველობის წინასწარი თამაშები თბილისში — ბოლო ეტაპია. დანარჩენი თამაშები ქვეჯგუფებში ჩატარდა ტალინში, ლენინგრადში, ხარკოვში, ვილნიუსსა და მოსკოვში. თბილისის ქვეჯგუფში 4-4 ქალთა და ვაჟთა გუნდი ეცილება ერთმანეთს „ა" კლასის უძლიერესთა რიცხვში მოხვედრას. თბილისის ტურნირზე წარმოდგენილი არიან აშხაბადის „ზახმეტი", ლენინგრადის „სპარტაკი", თბილისის „ბურევესტნიკი" (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) და ბაქოს „ბურევესტნიკი" (ვაჟები). ქალთა შორის არიან თბილისის „ბურევესტნიკი" (ფიზკულტურის ინსტიტუტი), მოსკოვის, კიშ ნიოვის „მოლდოვა" და კრასნოდარის „დინამო".

სპორტის სასახლის მოედანზე პირველად გამოვიდნენ ლენინგრადის „სპარტაკისა" და აშხაბადის „ზახმეტის" ვაჟთა გუნდები. ლენინგრადელებმა იოლი გამარჯვება მოიპოვეს — 3:0 (15:4, 15:10, 15:6). სპარტაკელებსა და მათს ერთ-ერთ საუკეთესო ლიდერს — ი. აროშიძეს მხოლოდ მეორე პარტიაში მოუხდათ დაძაბული ბრძოლა თვითეული ქულის მოსაპოვებლად, დანარჩენ პარტიებში მათი უპირატესობა ნათელი იყო.

I ტურის თამაშებში ყველაზე დაძაბული იყო კრასნოდარისა და მოსკოვის „დინამოს" თანაკლუბელთა მატჩი. ამ გუნდების შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ახალგაზრდები და ვეტერანები. მოსკოველთა შორის არიან ისეთი ძლიერი მოთამაშეები, როგორიცაა სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. ჩუდინა, ზ. სმოლიანინოვა, ლ. სტრელნიკოვა და სხვანი, რომელთაც სათავეში ედგა გუნდის კაპიტანი, დამსახურებული ოსტატი ლ. ბულგაკოვა. კრასნოდარელებმა თავიანთ მრისხანე მოწინააღმდეგეს ტექნიკურად ძლიერი თამაში დაუპირისპირეს, მაგრამ ბოლო, მეხუთე პარტიაში მოუხდათ ფარხმლის დაყრა და მატჩი წააგეს მინიმალური ანგარიშით — 2:3 (15:9, 12:15, 8:15, 15:11, 7:15). კრასნოდარელთა შორის გამოირჩეოდნენ ლ. ოვჩარენკო, ლ. ნაზარჩუკი და ი. კოსაჩევა. საერთოდ, ორივე გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის მოწინააღმდეგემ — მოლდაველთა ქალთა გუნდმა პირველი პარტია ძალზე დიდი განსხვავებით წააგო — 4:15 და მეორე პარტიაში შეძლო თანაბარი თამაშის ჩვენება, სტუმრებმა ერთგვარ წარმატებასაც მიაღწიეს დასაწყისში და დაწინაურდნენ კიდეც—5:0, მაგრამ თბილისელმა ვ. ტონკონოგოვამ 4 უძლიერესი მოწოდებით განსხვავება ანგარიშში მინიმუმამდე დაიყვანა—4:5, შემდეგ ანგარიში გათანაბრდა—5:5, 6:6, 7:7. დასასრულისათვის მოლდაველები კვლავ წინ გადიან — 14:11 და ამ გადამწყვეტ მომენტში თბილისელებმა ძალების მთელი მობილიზაციით გაათანაბრეს ანგარიში — 14:14. აქ კვლავ იჩინა თავი თბილისელთა ტექნიკურმა უპირატესობამ და გამოცდილებამ. ბოლო ორი მოწოდება თბილისელებმა საუკეთესოდ შეასრულეს და პარტიაც თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს—16:14. მესამე პარტიაში მოლდაველები ისევ დაწინაურდნენ — 5:2... 7:6, მაგრამ ეს მათი უკანასკნელი წარმატება იყო. თბილისელებმა ხელთ აიღეს ინიციატივა, ჩაატარეს ბურთის ჩარტყმის თავბრუდამხვევი სერია და ზედიზედ აიღეს ქულები. თბილისელებმა მოიგეს მატჩი ანგარიშით 3:0. მართალია, ჩვენმა ფრენბურთელებმა მატჩი მოიგეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ გამარჯვება მოპოვებულ იქნა შედარებით სუსტ მოწინააღმდეგესთან. მოსკოველ და კრასნოდარელ ფრენბურთელებთან ბრძოლა გაცილებით ძნელი იქნება.

თბილისისა და ბაქოს „ბურევესტნიკის" თანაკლუბელ ვაჟთა შეხვედრა ძალზე საინტერესო გამოდგა. თბილისის „ბურევესტნიკი", რომელიც დაკომპლექტებულია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენებით, თამაშობდა ცნობილი დევიზით: „6 თავდასხმაში, 6 — დაცვაში". საერთოდ თბილისელთა ტაქტიკა უფრო მოქნილი იყო, ვიდრე ბაქოელებისა. თბილისის „ბურევესტნიკმა" 1961 წლის საკავშირო ჩემპიონატში საპატიო მე-5 ადგილი დაიკავა და სპორტის მოყვარულები მათგან ენერგიულ, მაღალტექნიკურ თამაშს მოელოდნენ. ეს ასეც მოხდა. მთელი მატჩის მსვლელობაში თბილისელი სპორტსმენები ბლოკის კარგად დაყენებით, გადამწყვეტი დარტყმების შესრულებით და ცრუ მოძრაობებით წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშის ვ. კაპარავას ყუმბარისებურმა მოწოდებებმა, რომელთა მიღებისას ბაქოელები ხშირად კარგავდნენ ქულას. გუნდის მოთამაშეები ი. ბოიკო, თ. კუპავა, ვ. გავრილენკო და სხვები ზუსტი ურთიერთმოქმედებით ახერხებენ ბაქოელთა რიგებში დეზორგანიზაციის შეტანას. პირველი პარტია თბილისელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 15:10. შემდგომ პარტიაში ბაქოელები წინ გავიდნენ — 6:2... 8:5, მაგრამ აზერბაიჯანელთა წარმატება ამოიწურა. ჯერ თ. კუპავას, შემდეგ ვ. კაპარავას ჩარტყმების სერია და ანგარიში ჯერ გათანაბრდა, ხოლო შემდეგ თბილისელთა სასარგებლოდ გაიზარდა —10:8... 13:8. მეორე პარტია კვლავ თბილისელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 15:13. მესამე პარტიაში ბაქოელები თითქოს შეურიგდნენ დამარცხებას და მოწინააღმდეგეს რამდენადმე სერიოზული წინააღმდეგობაც ვერ გაუწიეს. ანგარიში იყო 4:15. პარტიის საბოლოო შედეგია 3:0 თბილისელ სტუდენტთა სასარგებლოდ.

**ჯ. ენუქიძე**

• • •

გუშინ საღამოს სპორტის სასახლეში შედგა მეორე ტურის შეხვედრები. მოგვყავს ამ მატჩების ტექნიკური შედეგები.

**ქალები** — „დინამო" (კრასნოდარი)-„მოლდოვა" (კიშ ნიოვი) — 3:0; „დინამო" (მოსკოვი)-სკიფი (თბილისი) — 3:1.

**ვაჟები**—„ბურევესტნიკი" (თბილისი)-„ზახმეტი" (აშხაბადი) — 3:1, სკიფი (ბაქო)-„სპარტაკი" (ლენინგრადი) — 3:1.

• • •



**სურათზე:** მოედანზე არიან თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელები.

## ჭადრაკი ქალაქებსა და რაიონებში

### გ ო რ ი

გორის 1961 წლის საჭადრაკო ჩემპიონატში, რომელშიც 18 მოჭადრაკე მონაწილეობდა, ჩემპიონი არ გამოვლინდა. I-II ადგილები გაიყვეს უხუცესმა მოჭადრაკემ ნ. ქღენტმა და ახალგაზრდა პირველთანრიგოსანმა ჯ. ინჯიამ — 12,5 ქულა თვითეულს. III ადგილი დარჩა ვ. ჩოჩიას (11,5 ქულა), რომელმაც შეასრულა პირველი თანრიგის ნორმა.

ჩემპიონის ვინაობას გაარკვევს ნ. ქღენტი-ჯ. ინჯიას მატჩი, რომელიც ამ დღეებში დაიწყება.

**თ. კოზიაშვილი**

### ს ი ღ ნ ა ღ ი

სიღნაღში მოეწყო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში „კოლმეურნის" გარდამავალ თასზე. თასის ორგზის მფლობელმა — მაჩხაანის ზოოვეტტექნიკუმმა მესამედ მოიპოვა იგი.

მეორე ადგილზე გამოვიდა სოფელ ანაგის საკოლმეურნეო გუნდი.

**ნ. მღებრიშვილი**

## 7 : 3

გუშინ თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართა საქალაქთაშორისო შეხვედრა კრივში მინსკისა და თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის.

ანგარიშით 7:3 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ნახატი გ. იაშვილისა.





საბჭოთა კავშირის 1961 წლის აბსოლუტური პირვე-
ლობა სპორტულ ტანვარჯიშში.




**ბუქარესტი.** რუმინელები ემზადებიან ჭაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატისათვის, რომელსაც ტრადიციულად ატარებს უეფა. ჩემპიონატი ჩატარდება 19—29 აპრილს. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა შესარჩევ ჯგუფებში შეჯიბრებები ჩაატაროს ბუქარესტში, პლოეშტში, ბრაშოვსა და კონსტანცაში.

**ლონდონი.** ინგლისში სისტემატურად კლებულობს ფეხბურთის მატჩებზე დამსწრეთა რიცხვი. ამის მიზეზად ჟურნალისტებს მიაჩნიათ: 1) რომ თამაშებს გარეგნული მიმზიდველობა აკლიათ და გუნდები უხეშად თამაშობენ, 2) რომ ტრიბუნები კეთილმოწყობილი არ არის, 3) რომ ინგლისის გუნდების თამაშის კლასი სულ უფრო ეცემა.

ინგლისის ფეხბურთის ფედერაცია აპირებს მიიღოს შესაფერისი ზომები, რათა თავიდან აიცილოს თამაშის კლასის შემდგომი დაქვეითება. ერთ-ერთი ღონისძიება იქნება ეროვნული პირველობის რეორგანიზაცია, კერძოდ, პირველ ლიგაში მონაწილე გუნდების რაოდენობის შემცირება.

**ტურინი.** გამოჩენილმა უელსელმა ფეხბურთელმა ჯონ ჩარლზმა, რომელიც 1957 წლიდან ტურინის „იუვენტუსში" თამაშობს, მიიღო სერიოზული ტრავმა და კარგა ხნის განმავლობაში ვერ მიიღებს მონაწილეობას თამაშებში.

**პარიზი.** ჟიუსტ ფონტენმა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ფეხის მოტეხის გამო არ მონაწილეობდა „რეიმსის" მატჩებში, სათადარიგო შემადგენლობაში წვრთნა გაიარა და ამიერიდან უკვე იცავს თავისი პირველი გუნდის ღირსებას.

**ლონდონი.** გაიმართა ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის სხდომა, სადაც მიღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. გადაწყდა ინგლისის ნაკრებმა ითამაშოს ევროპის თასის მეორე გათამაშებაში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ დაიწყება. დიდი კამათი გამოიწვია ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების წესებმა. მიღებულ იქნა დადგენილება პირველ და მეორე ლიგებში შენარჩუნებულ იქნას 22-22 გუნდი, მესამე და მეოთხე ლიგებში კი ამიერიდან 24-24 გუნდი ითამაშებს.

**ფლორენცია.** „ფიორენტინას" ხელმძღვანელობამ თურქეთის „ფენერბახჩესაგან" იყიდა ცნობილი ფეხბურთელი ჯანი. რამდენადაც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის განკარგულებით თვითეულ კლუბს ნება არ აქვს ორ უცხოელზე მეტი ყავდეს, ამიტომ შვედი იონსონი „ფიორენტინადან" გადავა „რომაში". მეორე შვედს — ჰამრინს, რასაკვირველია, „ფიორენტინა" ვერ შეელევა. ჯანი მეორე თურქი ფეხბურთელია, რომელიც იტალიაში გადაბარგდა.



საქენერგოს თანამშრომლები ვ. პატარიძე, ნ. ჯალაღონია, ი. სანიკიძე და დ. გოგოლაძე გვთხოვენ მოვუთხროთ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ ვ. მენჩიკის შესახებ და ვუპასუხოთ ორ შეკითხვაზე.

მსოფლიო ჩემპიონი ვერა მენჩიკი, ეროვნებით ჩეხი, დაიბადა 1906 წელს მოსკოვში. 9 წლისამ ისწავლა ჭადრაკის თამაში მამისაგან. სწავლობდა საბჭოთა სკოლაში, სადაც პირველად მონაწილეობდა ბავშვთა ტურნირებში. 1921 წელს მენჩიკების ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ინგლისში. 1923 წელს ვ. მენჩიკი ჩაეწერა ჰასტინგსის საჭადრაკო კლუბში, სადაც კვირაში 4-5-ჯერ დაიარებოდა საჩეცადინოდ. აქ მან გაიცნო უნგრელი გროსმაისტერი მაროცი, რომელმაც ყურადღება მიაქცია ვერას ნიჭს და რამდენიმე წელი ამეცადინა კიდეც. 1927 წელს დაწესდა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის წოდება ქალთა შორის, რომელიც მენჩიკმა მოიპოვა. ეს ტიტული მან დაიცვა შვიდჯერ ტურნირებში და ორჯერ ორთაბრძოლაში. მენჩიკი უფრო ხშირად მონაწილეობდა ვაჟთა ტურნირებში. მაგალითად, რომსჰეტის 1928 წლის საერთაშორისო ტურნირზე მან II-III ადგილები გაიყო გროსმაისტერ რუბინშტეინთან (პირველი კაპაბლანკა იყო). კარგი შედეგი აქვს მენჩიკს გროსმაისტერ ეივესთან, რომელსაც ოთხჯერ შეხვდა. ორი პარტია მოიგო მენჩიკმა, ერთი წააგო და ერთიც ყაიმით დაამთავრა. გროსმაისტერ ფლორთან სამივე შეხვედრა მენჩიკმა ყაიმით დაამთავრა.

1944 წლის 27 ივნისს ლონდონის დაბომბვის დროს მენჩიკი დაიღუპა. საინტერესოა, რომ მთელი ომის მანძილზე მენჩიკი დაბომბვის დროს თავშესაფარში. ათევდა ღამეებს, მაგრამ ერთხელ დარჩა სახლში და ისიც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

**შეკითხვა:** რატომ გაიმართა მატჩ-ტურნირი მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის მსოფლიო ჩემპიონ ე. ბიკოვას, ო. რუბცოვასა და ლ. რუდენკოს შორის, როცა უნდა შემდგარიყო ბიკოვა-რუბცოვას მატჩი?

**პასუხი:** მაშინ (1956 წელს) მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს უფლება ჰქონდა მატჩ-რევანშის თამაშის მაგიერ ჩართულიყო მესამე მონაწილედ მსოფლიო ჩემპიონისა და პრეტენდენტის ბრძოლაში. სწორედ ამ უფლებით ისარგებლა ლ. რუდენკომ.

**შეკითხვა:** რატომ არ შედგა ალიოხინ-კაპაბლანკას მატჩ-რევანში?

**პასუხი:** მატჩის პირობებში მხარეებმა არ გაითვალისწინეს მატჩ-რევანში. კაპაბლანკას ეჭვი არ ეპარებოდა თავის გამარჯვებაში. მაგრამ, როცა წააგო ორთაბრძოლა, ალიოხინი შეგნებულად გაურბოდა კაპაბლანკასთან მატჩ-რევანშის თამაშს, რასაც სთხოვდა დამარცხებული ჩემპიონი. იმ დროს (1947 წლამდე) მსოფლიო პირველობის გათამაშება ჩემპიონების ნებასურვილზე იყო დამოკიდებული. ამჟამად კი ყველაფერ ამას განაგებს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია.

# არგენტინელთა ახალი მწვრთნელი

საზეიმო განწყობილება, რომელიც სუფევდა არგენტინის საფეხბურთო წრეებში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან შეხვედრამდე, მკვეთრად შეიცვალა. თუ აქამდე გაზეთებში ხშირად შეხვდებოდით ისეთ უტაქტო გამოთქმებს, რომ „არგენტინელებს სერიოზული მეტოქე არა ჰყავთ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში", ახლა უსაყვედურებენ თავიანთ მოთამაშეებს, რომლებმაც თავიანთ ისტორიაში პირველად წააგეს საკუთარ მინდორზე ევროპელებთან. თუ წინა მსოფლიო ჩემპიონატს შეეწირა მწვრთნელი გ. სტაბილე, ახლა ვ. სპინეტის ჯერი დადგა. საბჭოთა გუნდთან დამარცხების შემდეგ არგენტინის ფედერაციამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა ნაკრების მწვრთნელის მოვალეობიდან განთავისუფლების შესახებ.

ამ ქვეყნის საფეხბურთო ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დანიშნა დოქტორი მაროში.

# კითხვები მწვრთნელსა და მსოფლიო ჩემპიონს

ამ დღეებში სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტის" კორესპონდენტი ეწვია ბულგარეთში მყოფ ჩინელ მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრების მწვრთნელ ფუ-ცი ფანსა და მსოფლიო ჩემპიონ ჩან-ძე-დუნს.

**კითხვა:** როგორ ვითარდება მაგიდის ჩოგბურთი ჩინეთში?

**ფუ-ცი ფანი:** ეს თამაში ჩინეთში სულ რამდენიმე წელია გახდა პოპულარული. ესაა სპორტის ყველაზე უფრო პოპულარული სახე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. არასრული ცნობებით, ამ თამაშს ჩვენთან იცნობს და მისდევს 40 მილიონი სპორტსმენი. სწორედ მასობრიობაში უნდა ვეძებოთ იმის მიზეზი, რომ ჩვენ ვაჯობეთ იაპონელებს ამაწინანდელ მსოფლიო ჩემპიონატში პეკინში.

**კითხვა:** როგორ გესახებათ მაგიდის ჩოგბურთის განვითარება მომავალში?

**ფუ-ცი ფანი.** მაგიდის ჩოგბურთის სრულყოფა მე ასე წარმომიდგენია: უნდა გაიზარდოს ბრძოლა ინიციატივის ხელში ჩასაგდებად. გაიზრდება სწრაფვა შეტევისაკენ, თამაშის ტემპი და დარტყმის სისწრაფე.

შემდეგ რამდენიმე კითხვაზე უპასუხა მსოფლიო ჩემპიონმა.

**კითხვა:** ვინ მიგაჩნიათ თქვენს უძლიერეს მეტოქეებად?

**ჩან-ძე დუნი.** მთავარ მეტოქედ მიმაჩნია ჩემი მეგობარი ლი-ფუიუნი, რომელსაც შევხვდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, აგრეთვე სუ-ვანგ სენი.

**კითხვა:** რომელი იყო ყველაზე უფრო დაუვიწყარი მატჩი თქვენს პრაქტიკაში?

**ჩან-ძე დუნი.** ეს გახლდათ მსოფლიო გუნდური ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი იაპონელებთან, სადაც ჩვენ გავიმარჯვეთ.

# სონი ლისტონი მიისწრაფვის მატჩისაკენ

როგორც კი მსოფლიო ჩემპიონმა ფლოიდ პატერსონმა დაიცვა თავისი წოდება მაკ ნეილთან, მისმა მენაჯერმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონი მზადაა, შეხვდეს ყველა ღირსეულ მეტოქეს და პირველ რიგში გამოჩენილ მოკრივეს სონი ლისტონს. მაგრამ, როგორც კრივის მიმომხილველებს მიაჩნიათ, ეს თვალის ასახვევად იყო ნათქვამი. სინამდვილეში კი პატერსონი და მისი მენაჯერი გაურბიან ამ უძლიერესად საშიშ მეტოქესთან შეხვედრას. მიაჩნიათ, რომ ლისტონი პატერსონისათვის, ბევრად უფრო სახიფათო მეტოქეა, ვიდრე მაკ ნეილი და თვით მსოფლიო ექს-ჩემპიონი ინგემარ იუჰანსონიც. როგორც მაკ ნეილთან მატჩის დამთავრებისთანავე მსოფლიო ჩემპიონმა პატერსონმა განაცხადა, სონი ლისტონი მსოფლიო ჩემპიონობის ღირსეული პრეტენდენტია.

სონი ლისტონი ამჟამად 27 წლისაა. მას შემდეგ, რაც პროფესიონალური მოკრივე გახდა, სონი ლისტონმა ჩაატარა 34 ბრძოლა, აქედან 33 მოიგო. საყურადღებოა, რომ 23 ბრძოლა ლისტონმა ნოკაუტით დაამთავრა. იგი ოფიციალურად ატარებს „მსოფლიო ჩემპიონობის პირველი პრეტენდენტის" წოდებას. როგორც თვით ლისტონს, ისე მის მენაჯერსაც არაერთგზის განუცხადებიათ, რომ მზად არიან მოლაპარაკება დაიწყონ ფლოიდ პატერსონთან მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩის თაობაზე.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის, სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის —3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01218